№ 119 მთავრობის მოამბე ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მესამე

საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 3 მან. სამშაბათი, ივნისის 1 1920 წ.

მთავრობის მოამბე, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
საქართველოს რესპუბლიკა
მიიღება ხელის მოწერა გაზ. „საქ. რესპ." 1920 წლისთვის. გაზეთი ღირს 1 თვით 70 მან., ცალკე ნომერი ყველგან 3 მან. განცხადების ფასი პირველ გვ. პეტიტის სტრიქონი ტექსტისწინ 4 მან. მე-4 გვ. 3 მ. 50 კ. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრ. ზომისა 140 მ. 1 იანვ. გაზეთი ნისიად არავის გაეგზავნება. რედაქციის კანტორის მისამართი: ტფილისი, ბარონის ქ. № 6. ტელეფონი 1—82.

სამხედრო სამინისტროს სამნეო განყოფილება

ამით აცხადებს, რომ 1920 წ. 5 ივნისს დღის 12 საათზედ ხსენებულ განყოფილებაში მოხდება საჯარო ვაჭრობა ზეპირ შეჯიბრებით და დაბეჭდილ კონვერტებით წარმოდგენილ განცხადებით ჯარისთვის 1920 წლის 15 ივნისიდან 1921 წლის 15 ივნისამდე 250 ათასადე შეკუმშულ თივის მოწოდების შესახებ.

საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველთ უნდა წარმოადგინონ პიროვნების მოწმობა და საწინდრად 10 პროცენტი თივის ღირებულებისა.

ვისაც არ შეუძლიან წინდაწინვე სრული საწინდრის წარმოდგენა, შეიძლება საჯარო საჭრობისთვის წარმოადგინოს 5 პროც. დანარჩენი 5 პროც. დაეჭირება მოიჯარადრეს მისაღებ ფულის ანგარიშიდან.

იჯარით შეიძლება გაიცეს როგორც მთელი რაოდენობა თივისა, ისე მისი ნაწილი.

მოიჯარადრეთ შეიძლება მიეცეთ სამნეო განყოფილებისაგან გარდაწყვეტილ ფასებში თივის შესაკუმშად საჭირო ზოგიერთი მასალა.

დაწვრილებითი პირობები მსურველთ შეუძლიათ ინახულონ სამნეო განყოფილებაში ყოველდღე დილის 9—3 საათამდე. მისამართი: ბარიათინსკის ქუჩა № 10. 591 3—3

კავკასიის ბანკის გამგეობა

აცხადებს, რომ 1920 წ. ივნისის 3-ს, დილის 11 ს. სომეხთა ბაზარში, ძმ. მანთაშევების პასაჟში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა დამარილებულ თევზზე (ქაშარი) 2740 ფ. (207 ბოჭკა) პირობების გასაგებათ მსურველთ შეუძლიან მიმართონ ბანკის გამგეობას. 599 2—2

ოფიციალური განყოფილება

კანონი

ფოთის საზღვაო-საკარანტინო სადგურისა, სოხუმის საზღვაო-საექიმო და სანაინის სანაპირო-საექიმო თვალყურის-სადევნებელი სადგურის შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცებისა.

1. დამტკიცებულ იქნეს ამა 1920 წლის იანვრის 1-დან ფოთის საზღვაო-საკარანტინო სადგურისა, სოხუმის საზღვაო-საექიმო და სანაინის სანაპირო-საექიმო თვალყურის-სადევნებელი სადგურის შტატი და ხარჯთ-აღრიცხვა ამ კანონთან დართული (დამატება № 1, 2 და 3) ნუსხის თანახმად.

2. პირველ (1) მუხლში აღნიშნული შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვის საჭიროებისათვის გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებისათვის ამა 1920 წლის იანვრის 1-დან ივნისის 1-დე: ა) ფოთის საზღვაო-საკარანტინო სადგურისათვის—ას ორმოცდა ცხრა ათას შვიდას სამოცდა თუთხმეტი (149,775) მანეთი, ბ) სოხუმის საზღვაო-საექიმო სადგურისათვის—ოთხმოცდა ცამეტი ათას ოთხას ოცდა ხუთი (93,425) მანეთი და გ) სანაინის სანაპირო-საექიმო თვალყურის-სადევნებელი სადგურისათვის—ოთხმოცდა ორი ათას ხუთას სამოცდა თუთხმეტი (82,575) მანეთი.

3. ამ კანონით დამტკიცებულ შტატზე გავრცელებულ იქნეს დამფუძნებელი კრების ამა 1920 წლის თებერვლის 10-ს დეკრეტით დაწესებული მომატება ჯამაგირისა.

4. კანონი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1920 წ. მაისის 21.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი **ს. მდივანი.**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

დამატება № 1.

შტატი და ხარჯთ-აღრიცხვა

ფოთის საზღვაო-საკარანტინო სადგურისა 1920 წ. იანვრის 1-დან ივნისის 1-დე.

№№ რიგზე.	თანამდებობა და ხარჯის დანიშნულება	რიცხვი.	თვითეულს თვიურად.	ყველას თვიურად.	ყველას 1920 წ. იანვრის 1-დან 1921 წ. ივნისის 1-დე.
1	ექიმი	1	2835	1835	14175
2	ფერშალი	2	2100	4200	21000
3	თარჯიმანი	1	1085	1085	5425
4	სანიტარი	2	1085	2170	10850
5	დაბალი მოსამსახურე: (მამაკაც-დედაკაცი)	9	1085	9765	48825
	სულ	15	8190	20055	100275
6	საკანცელარიო ხარჯი და ტელეფონის გადასახადი	—	—	200	1000
7	ბინის ქირა	—	—	200	1000
8	გასათბობ-გასანათებელი	—	—	1000	5000
9	ბარაკების შეკეთება	—	—	4000	20000
10	ავადმყოფთა შენახვა (შემთხვევით თვეში 10 დღე)	—	—	500	2500
11	წამლები და სადეზინფექციო მასალა	—	—	4000	20000
	სულ	—	—	9900	49500
	ჯამი	—	—	29955	149775

ას ორმოცდა ცხრა ათას შვიდას სამოცდა ხუთმეტი (149,775) მანეთი.

1920 წ. მაისის 21-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი **ს. მდივანი.**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

დამატება № 2.

შტატი და ხარჯთ-აღრიცხვა.

სოხუმის საზღვაო-საექიმო სადგურისა 1920 წლის იანვრის 1-დან ივნისის 1-დე

1	ექიმი	1	2835	2835	14175
2	ფერშალი	1	2100	2100	10500
3	სანიტარი	2	1085	2170	10850
4	დაბალი მოსამსახურე: (მამაკაც-დედაკაცი)	8	1085	8680	43400
	სულ	12	7105	15785	78925
5	საკანცელარიო ხარჯი	—	—	100	500
6	ბინის ქირა	—	—	200	1000
7	გასათბობ-გასანათებელი	—	—	600	3000
8	სადეზინფექციო მასალა	—	—	2000	10000
	სულ	—	—	2900	14500
	ჯამი	—	—	18685	93425

ოთხმოცდა ცამეტი ათას ოთხას ოცდა ხუთი (93.425) მანეთი.

1920 წ. მაისის 21.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი **ს. მდივანი.**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

დამატება № 3.

შტატი და ხარჯთ-აღრიცხვა.

სანაინის საექიმო-თვალყურის სადევნებელი სადგურისა 1920 წლის იანვრის 1-დან ივნისის 1-დე.

1	ექიმი	1	2835	2835	14175
2	ფერშალი	1	2100	2100	10500
3	სანიტარი	2	1085	2170	10850
4	დაბალი მოსამსახურე: (მამაკაც-დედაკაცი)	6	1085	6510	32550
	სულ	10	7105	13615	68075
5	საკანცელარიო ხარჯი	—	—	100	500
6	ბინის ქირა	—	—	200	1000
7	გასათბობ-გასანათებელი	—	—	600	3000
8	წამლები და სადეზინფექციო მასალა	—	—	2000	10000
	სულ	—	—	2900	14500
	ჯამი	—	—	16515	82575

ოთხმოცდა ორი ათას ხუთას სამოცდა თხუთმეტი (82.575) მანეთი.

1920 წ. მაისის 21-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი **ს. მდივანი.**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

არა ოფიციალური განყოფილება

მთავრობაში

25 მაისის სხდომა.

დაესწრნენ: ბ. ბ. ნ. ჟორდანია, ერაძე, ხომერიკი, რამიშვილი, ლორთქიფანიძე, გეგეჭკორი, არსენიძე, ანდრონიკაშვილი, ავალიანი, ჭიჭინაძე, ქარცივაძე, გედევანიშვილი, ბახტაძე, ცინცაძე, ჭავჭანიძე, ბ. ჭიჭინაძე, გ. ჟორდანია. საქმეთა მმართველი კ. ჯაფარიძე. მდივანი დ. ლომთაძე.

საგანგებო რაზმის შტატის და ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცება.

შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ წარმოდგენილი შტატი და ხარჯთ-აღრიცხვა შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულ საგანგებო რაზმისა მიღებულ იქმნას ერთი წლით და სათანადო დეკრეტი წარედგინოს დამფუძნებელ კრებას.

უძრავი ქონების იძულებითი ჩამორთმევა.

თანახმად დამფუძნებელი კრების 1919 წ. ივლისის 11-ის კანონისა ალექსანდრე ივანეს ძე მანთაშევს ჩამოერთვას ტფილისის სამაზრო ერობის საჭიროებისათვის მისი მამული მდებარე ქ. ტფილისის მესამე უბანში რუსთაველის და გიმნაზიის ქ. ქ. კუთხეში № 6, რომელიც ჩაწერილია ქალაქის გამგეობის წიგნში № 3/97 წ. აღწ. 1151 მუხ. და შეფასებულია 276.684 მან. აღნიშნული მამული გადაეცეს საკუთრებად ტფილისის სამაზრო ერობას, რომელმაც მამულის საფასურად ბ-ნ მანთაშევისათვის მისაცემად გადასდო უკანასკნელ შეფასების მიხედვით 276.684 მან.

რაჭის მაზრისათვის სასურსათო დახმარების აღმოჩენა.

1. დაევალოს მომარაგების სამინისტროს რაჭის მაზრის მცხოვრებთ მიაწოდოს სურსათი 150 მან. ნაკლებ ფასებში, ვინემ მას ადგილობრივ მიტანილი დაუჯდება.

2. დასავლეთ საქართველოს ქალაქებს, თემებს და ერობებს უფლება მიეცეთ თავისუფლად შეიძინონ და გამოიტანონ აფხაზეთიდან მათთვის საჭირო სიმინდი. ყველა დანარჩენ ორგანიზაციათა და პირთათვის ძალაში დარჩეს დღევანდლამდე არსებული წესები.

ერობათა შორის სესხის განაწილების წესი.

რესპუბლიკის ერობათა შორის სესხის განაწილების საკითხი მთავრობაში განხილულ იქნას მას შემდეგ, როდესაც შინაგან საქმეთა სამინისტრო მიიღებს ერობებისაგან გამოთხოვნილ მასალებს და ის წინასწარ განხილულ იქნება კომისიაში შინაგან საქმეთა, ფინანსთა სამინისტროებისა და სახელმწიფო კონტროლის წარმომადგენელთა შემადგენლობით.

უძრავი ქონების იძულებით ჩამორთმევა

ალექსანდრე იაკობის ძე გოკიელოვს ჩამოერთვას გომის კოოპერატივთა კავშირის საკუთრებად მამული, ყველა მასზე აგებულ შენობებით მდებარე სახაზინო რკინის გზების სადგურ „გომთან"—მიწა დაახლოვებით 5000 ოთხკ. საჟენი შემდეგ საზღვრებში: აღმოსავლეთით ალ. კაკაბაძისა და იოსებ მამაცოვის მიწა, დასავლეთით გორის მაზრის სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობის მიწა, სამხრეთით полоса отчужденія казенныхъ желѣзныхъ дорогъ, ჩრდილოეთით იოსებ მამაცოვის მიწა აღნიშნულ მამულის შეფასება, თანახმად დამფუძნებელ კრების 1919 წლის ივლისის 11 კანონისა მოხდეს სასამართლოს წესით.

მგოსან ნოე ჩხიკვაძის დაკრძალვისათვის.

გადაიდოს სახალხო განათლების სამინისტროს განკარგულებაში 30,000 მან. ათ მი-

ლიონიან ფონდიდან მგოსან ნოე ჩხიკვაძის დაკრძალვის ხარჯების დასაფარავად.

მუშა-მოსამსახურეთათვის საქონლის მოსამარაგებლად თანხის გაღება.

1) შრომის მინისტრის მიერ წარმოდგენილი პროექტი დეკრეტისა მუშა-მოსამსახურეთათვის პირველ მოთხოვნილების საქონლის მისაწოდებლად მთავრობის განკარგულებაში 120 მილიონი მანეთის გაღების შესახებ მიღებულ იქნას და გადაეცეს დამფუძნებელ კრებას.

2) შრომის სამინისტრომ წარუდგინოს დამფუძნებელ კრების საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას საჭირო საბუთები და ანგარიშები.

27 მაისის სხდომა.

დაესწრენ ბ. ბ. რამიშვილი, გეგეჭკორი, ერაძე, არსენიძე, ლორთქიფანიძე, ხომერიკი, ანდრონიკაშვილი, ავალიანი, ნ. ჭიჭინაძე, ცინცაძე, გედევანიშვილი, ქარცივაძე, გ. ჟორდანია, ბ. ჭიჭინაძე, საქმეთა მმართველი კ. ჯაფარიძე. მდივანი დ. ლომთაძე.

სახელმწიფო ბანკის შტატისა და ხარჯთაღრიცხვის შესახებ.

1. სახელმწიფო ბანკის გამგის, მისი ამხანაგის, გამგეობის წევრის, საბჭოს თავმჯდომარისა და საბჭოს წევრთა ჯამაგირები დარჩეს იმავე რაოდენობით, როგორც განსაზღვრულია დამფუძნებელი კრების ა. წ. თებერვლის 24-ის დადგენილებით.

2. დაბალი მოსამსახურენი ჯამაგირის მხრივ გაუთანასწორდენ სახელმწიფო დაწესებულებათა თანაბარ თანამდებობებს.

3. ამის და მიხედვით სხვა დანარჩენ მოსამსახურეთა ჯამაგირების შესახებ თავისი დასკვნა მისცენ ფინანსთა მინისტრმა და სახელმწიფო კონტროლიორმა.

4. სასურველია ბანკის განკარგულებაში გადაიდოს განსაკუთრებული თანხა მცოდნე პირთა დასაჯილდოებლათ.

გვარის შეცვლა.

1. სათენიკ გრიგოლის ასული ალექსიანცის თხოვნა მისი ქალიშვილის თამარ მიკირტუმოვისთვის გვარის „ალექსიანცათ“ შეცვლის შესახებ დაკმაყოფილებულ იქნას.

2. ალექსანდრე არტემის ძე კარაპეტოვის თხოვნა გვარის „აბულაძედ“ შეცვლის შესახებ დაკმაყოფილებულ იქნას.

სასჯელის პატიება.

ივანე ვგნატეს ძე კავჟარაძეს სოხუმის საგანგებო სასამართლოს 1919 წლ. აპრილის 30-ის განაჩენით გადაწყვეტილი სასჯელი სრულიათ ეპატიოს და გაიგზავნოს ფრონტზე.

სასჯელის შეცვლა.

1. პავლე რაჟდენის ძე ორაგველიძეს ქუთაისის ოლქის სასამართლოს 1918 წლ. დეკემბრის 6-ის განაჩენით გადაწყვეტილი სასჯელი შეეცვალოს 3 წლის გამასწორებელ რაზმით ყველა განსაკუთრებულ უფლებათა აყრით.

2. ციცა ტაგარევის ასულ სმირისას სოხუმის საგანგებო სასამართლოს 1919 წლ. სექტემბრის 19-ის განაჩენით გადაწყვეტილი სასჯელი შეეცვალოს ერთი წლის ციხეთ უფლებების აუყრელად.

სოციალურ დახმარებისათვის.

გადაიდოს შრომის სამინისტროს განკარგულებაში სესხად 100 ათასი მან. ათ-მილიონიან ფონდიდან სოციალურ დახმარების საქმის მოსაწყობად. აღნიშნული თანხა შრომის სამინისტრომ დაუბრუნოს ათ-მილიონიან ფონდს როგორც კი მიღებულ იქმნება დამფუძნებელი კრების მიერ კანონ-პროექტი სოციალურ დახმარებისა.

ტოპოგრაფიულ სამუშაოთათვის თანხის გაღება.

გაღებულ იქმნას სამხედრო სამინისტროს ტოპოგრაფიულ განყოფილების უფროსის განკარგულებაში ავანსად 190.926 მან. გადაუდებელ ტოპოგრაფიულ სამუშაოთა შესასრულებლად დასახელებულ განყოფილების განკარგულებაში არსებულ კრედიტიდან.

დახმარებ-ს აღმოჩენა.

სამხედრო მინისტრის მოხსენება საქმის მწარმოებელ ბლიუმისთვის, რომელიც სამსახურს სტოვებს ნაციონალიზაციის გამო, დახმარების სახით წლიური ჯამაგირის მიცემის შესახებ მიღებულ იქმნას და სათანადო თანხა ამ საჭიროებისათვის გადაიდოს სამხედრო სამინისტროს განკარგულებაში ათ-მილიონიან ფონდიდან, მხოლოდ იმ პირობით, რომ ბ-ნ ბლიუმს ცალკე სალიკვიდაციო ჯილდო არ მიეცემა.

კრედიტის მოქმედების ვადის განგრძობა

სამხედრო სამინისტროს დამატებით ხარჯთაღრიცხვის 219.247.708 მან. კრედიტის მოქმედება განგრძობილ იქმნას ა. წ. 1-ლ ივნისიდან ერთი თვით.

შვებულების მიცემა

სოფლის მეურნეობის მაენებელთა წინააღმდეგ მებრძოლ ბიუროს გამგეს ბ. პ. უვაროვს მისი საზღვარ-გარედ გამგზავრების გამო მიეცეს ოთხი თვის შვებულება ჯამაგირის შენახვით.

თანხის გადარიცხვა.

მთავრობის განკარგულებაში არსებულ 250 მილიონიან ფონდის ნაშთი—20.000.000 მ. გადაირიცხოს მომარაგების სამინისტროს მიმდინარე ანგარიშზე № 139,150 ტფილისის ხაზინაში.

ზოგიერთ ერობებისათვის ავანსის მიცემა.

დამფუძნებელი კრების ა. წ. 11 მაისის დეკრეტით მთავრობის განკარგულებაში გადატანილ ასი მილიონ მანეთიდან მიეცეს ავანსათ სესხის ანგარიშში: 1) ტფილისის ერობას—სამი მილიონი მანეთი, 2) სენაკისას—ორ მილიონ ნახევარი მან., 3) ოზურგეთისას—2.250.000 მან., 4) დუშეთისას—1.250.000 მ., 5) ზუგდიდისას—ორ მილიონ ნახევარი მანეთი.

დეკრეტის პროექტის მიღება.

ფინანსთა მინისტრის მიერ წარმოდგენილი პროექტი დეკრეტისა ტფილისის და ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკების წესდების შეცვლისა და რწმუნებულთა კრების მოწვევის შესახებ მიღებულ იქმნას და გადაეცეს დამფუძნებელ კრებას.

ჯარისა და სახელმწიფო უწყებათა ფულით დაკმაყოფილების წესი.

ნება დაერთოს ფინანსთა მინისტრს დააკმაყოფილოს ჯარისა და სახელმწიფო უწყებათა მოთხოვნილებანი მომავალ 1920—1921 საბიუჯეტო წლის ივნისის განმავლობაში მიმდინარე წლის მაისში გაწეულ ხარჯების ნორმების მიხედვით.

ი. მ. თურქიას დასაკმაყოფილებლად თანხის გაღება.

გადაიდოს ფინანსთა სამინისტროს განკარგულებაში 3.000 მ. ათ მილიონიან ფონდიდან სოხუმის საკრედიტო დაწესებულებათა რევიზორის—ი. მ. თურქიას მიერ გაწეულ ხარჯების დასაფარავად.

სამხედრო სამინისტრო

მილოცვები.

სამხედრო მინისტრმა მიიღო საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებიდან ჯარის ნაწილების, ერობისა, თემებისა, საზოგადო და კერძო დაწესებულებებისაგან მრავალ რიცხოვანი მოლოცვის დეპეშები საქართველოს რესპუბლიკის ორი წლის დამოუკიდებლობის დღესასწაულის გამო.

სამხედრო მინისტრი გულითად მადლობას უძღვნის მომლოცველთ და თავის მხრივ გამოსთქვამს სრულს რწმენას, რომ საქართველოს მხედრობა სავსებით გაამართლებს სამშობლოს იმედებს თავისი მბრწყინვალე გამარჯვებით ვერაგ და მტანჯავ მტრებზედ.

შინაგან საქ. სამინისტროში

ლტოლვილები.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ნება დართო ქ. ახალქალაქში თავმოყრილ სომეხ ლტოლვილებს რესპუბლიკის ტერიტორიაზე შეუჩერებლივ ალექსანდროპოლში გამგზავრებისა.

ფლორის გამოკვლევა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მიღებული ცნობებით სახელმწიფო უნივერსიტეტი აგზავნის კახეთში და თუშეთში ბ-ნ ზაქარია ყანჩელს ადგილობრივი ფლორის გამოსარკვევათ.

მობილიზაცია.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ცნობა მიიღო სამაზრო ერობისაგან, რომ სილნაღის მაზრაში საუცხოოდ ტარდება უკანასკნელი მობილიზაცია. ხალხი სიხარულით ეგებება ამ განკარგულებას, არის აუარებელი მსურველნი მოხალისეთ ჩაწერისა, მაგრამ ვინაიდან საჭიროება არ მოითხოვს მათ გაწვევას უკმაყოფილოთ ბრუნდებიან უკან.

ნებართვა.

შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგმა ნება დართო ახალციხის სომხების სკოლის საოჯახო საბჭოს მოაგროვოს 3, 4 და 5 ივნისს შეწირულება ფურცლებით სკოლის შენობის შესაკეთებლად.

ცხენების მობილიზაცია.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მიღებული ცნობებით სამხედრო სამინისტროსთან არსებული სამობილიზაციო კომისიის მიერ განთავისუფლებულ იქმნა მობილიზაციიდან ერობის ტრანსპორტის და მილიციის ცხენები.

სამხედრო ცნობა

ტფილისი, 27 მაისი

მაისის 31. ხულოს მიმართულებით ადგილობრივ მომქმედმა ბრბომ ოსმალთა ოფიცრების ხელმძღვანელობით დაიკავა დანისპარეული, მაგრამ ჩვენმა ჯარმა მიუსწრო და ეს ბრბოები გარეკა.

დანარჩენ მიმართულებებზე სიწყნარეა.

ტფილისის ქ. თვითმართველობაში

უკანასკნელი დადგენილებანი

ვინაიდან ქალაქში გავრცელებულა ვაჭრობა ტკბილეულობით, წყლით და ამით კი შეიძლება სისუფთავის დაუცველობით გაჩნდეს გადამდები სენი, ამიტომ ქალაქის გამგეობამ, თანახმად მედიკო-სანიტარულ ინსპექტორ მეუნარგიას მოხსენებისა გადასწყვიტა აკრძალოს ქუჩაში სხვა და სხვა ხილეულობით და წყლით ვაჭრობა.

— ქალაქის გამგეობის დადგენილებით ამა წლის მაისიდან დაწესდა შემდეგი ნიხრი ელექტრონზე: 1) კერძო ბინების, სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებათათვის—20 მან. და 30 კაპ. კილ. ს. 2) სავაჭრო-გასართობ დაწესებულებებზე 27 მ. 50 კაპ. კილ. ს. უმრიცხველოდ; პირველთათვის: 16 შუქზე—58 მ. 45 კ. 25 შუქ.—91 მ. 35 კ. 32 შუქ.—116 მ. 90 კ. 50 შუქ.—192 მ. 70 კ. 100 შუქ.—365 მ. 40 კ. მეორეთათვის: 16 შუქზე—79 მ. 20 კ. 25 შუქ.—123 მ. 75 კ. 32 შუქ.—158 მ. 40 კ. 50 შუქ.—247 მ. 50 კ. 100 შუქ.—495 მან. ქუჩების ფარნების და ელნათურის ნიხრი უმრიცხველოდ ორკეცდება.

— თავისუფალი დრო დასასვენებლად ქალაქის გამგეობის მოსამსახურეთათვის ამ წლის ზაფხულის განმავლობაში განისაზღვრება 20 მაისიდან 30 ენეკენისთვემდის. თავისუფლება მიეცემათ იმ მოსამსახურეთ, რომელთაც უმსახურნიათ 6 თვიდან—1 წლამდე ორი კვირის ვადით. ერთ წელიწადზე მეტ ნამსახურევთ მიეცემათ ერთი თვის ვადა. ვისაც 6 თვეზე ნაკლები უმსახურნიათ მათ თავი. სუფალი დრო დასასვენებლად არ მიეცემათ.

ბორჩალოს სამაზრო ხმოსანთა მეხუთე სრული

29 მარტი 1920 წელი.

ყრილობას დაესწრო 29 ხმოსანი.

თავმჯდომარედ არჩეულ იქნა პ. მოდებაძე, მის ამხანაგად ტრ. თაბუკაშვილი, მდივნები: მ. კუპატაძე და ვლ. იაკობაშვილი.

თავმჯდომარემ შემდეგი სიტყვით მიმართა ყრილობას:

ორი წელია რაც ვარსებობთ და ამ ხნის განმავლობაში, ვინ იცის რამდენი ვაი-ვაგლახი არ გადაგვხდა თავს. გვეკონა ბუნება ამას დაგვიჯერებდა, და აწი მაინც შეუდგებოდით დამშვიდებულ ცხოვრებას. მაგრამ სამწუხაროდ ეს იმედები არ გაგვიმართლდა; წინაალმდეგ—წელს ისეთი უბედურების მოწმენი შევიქენით, რომლის მსგავსიც ჯერ საქართველოს არ ახსოვს. ეს უბედურება გორის ტრაგედიაა, რომელსაც ყველა თქვენგანი კარგათ გრძნობს. ვხთხოვ საზოგადოებას ფეხზე ადგომით პატივი სცეთ გორში ამ უბედურებით დაღუპულ ამხანაგების ხსოვნას (ყრილობის წევრნი და დამსწრე საზოგადოება ფეხზე დგება). მოქალაქენო, გორის უბედურებასთან ერთად ჩვენ თავს დაგვჩხავის ჩრდილოეთის საფრთხეც. დენიკინის მოხალისეთა დაშლილი არმია იარაღ აყრილი ჩვენს ტერიტორიაზე გადმოვიდა. მას თან მოსდევს წითელი არმია და ვინ იცის თუ უკანასკნელს რა მოაქვს ჩვენთვის; მდგომარეობა სერიოზულია, და მე უსურვებ ყრილობას მისი მუშაობა ნაყოფიერი ყოფილიყოს საქართველოს თავისუფლების განმტკიცების საქმეში.

დღის წესრიგი:

1) გამგეობის მოხსენება; 2) სარევიზიო კომისიის მოხსენება; 3) მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვა: ა) ფინანსები. ბ) ადმინისტრაცია, სახალხო განათლება; დ) სახალხო ჯანმრთელობა, გ) სასოფლო მეურნეობა, დ) ვეტერინარია; ე) მიმოსვლა და ფოსტა-ტელეგრაფი; თ) აგრარული რეფორმა, ი) სასურსათო დონისძიებანი, კ) სტატისტიკა; 3) საქველმოქმედო ხარჯები; 4) თემის თვითმართველობის ორგანიზაცია და მისი საბიუჯეტო უფლებანი; 5) მომრიგებელ-მოსამართლეთა უბნების გამრავლება; 6) გამგეობის ორი წევრის არჩევა; 7) მიმდინარე საკითხები: ა) ერობისთვის საკუთარი მამულის შეძენა, ბ) კორბოულის მოსამართლის ს. წერეთლის დამტკიცება.

8) კომისარიატის სარევიზიო კომისიის მოხსენება, 9) საარჩევნო კომისიის არჩევა, 10) არგვეთის არჩევნები, 11) ერობის ხმოსანთათვის მოვალეობის შეუთვისებლობა, 12) გიმნაზიის შუამდგომლობა დახმარების შესახებ.

გამგეობის მოხსენება.

კ. ბუაჩიძე (გამგეობის თავმჯდომარე) მოქალაქენო! წარსულ წლის ოქტომბერში თქვენ მოისმინეთ გამგეობის მოხსენება ჩვენი წარსული მოქმედების შესახებ. მე ვეცდები აღარ გავიმეორო ის, რაც უკვე მეოთხე ყრილობაზე თქვენ მოგახსენეთ და პირდაპირ გადავალ დანიშნულ საკითხზე.

თქვენ მოგეხსენებათ, რომ ჩვენს თვითმართველობას მაზრაში აღებული აქვს ყველა დარგები თავის ხელში. ამიტომ ერობას უხდება ყოველ მხრივ მუშაობა. ამის და მიხედვით ჩვენი მუშაობა დარგებათაა დაყოფილი. თითეულ დარგებზე მე ვეცდები ცალ-ცალკე მოგახსენოთ. ამ ჟამად ერობაში შემდეგი დარგები გვაქვს:

1) ადმინისტრაცია, 2) სახალხო განათლება, 3) ჯანმრთელობა, 4) ვეტერინარია, 5) აგრარული, 6) სასურსათო 7) ტეხნიკური, 8) სამეურნეო, 9) პირველ საფეხურის თვითმართველობა (თემები), 10) ერობის სამმართველო და მისი შტატები, 11) სამაზრო ციხე და მასთან დამოკიდებულება, 12) კოოპერატიული განყოფილება და 13) სტატისტიკა.

თქვენც ალბად კარგად ხედავთ, რომ ამ დარგებში პირველი ალაგი უჭირავს ადმინისტრაციას; მასზეა დამოკიდებული მაზრის წესრიგი და ხალხის ნორმალური ურთი-ერთობა. ამასთანავე ყველამ ვიცით, რომ რევოლიუციის შემდეგ ყოველივე დარგი აიწეწ-დაიწეწა, მათ შორის დაიშალა ადმინისტრატიული აპარატიც. იგი როგორც ერთგვარ სისტემაზე აგებული ორგანიზაცია რევოლიუციის შემდეგ ჩვენ აღარ შეგვრჩენია; მაგრამ ჩვენდა სადიდებლად უნდა ითქვას, რომ ხალხი ამ მდგომარეობიდან უზიანოდ გამოვიდა. მან მალე აუღო ალღო ცხოვრების სვლას და სხვა და სხვა თავდაცვითი კომიტეტების შექმნით თავი დაიხწია იმ არევ-დარევას რაც მოსალოდნელი იყო სწორეთ ამ ნიადაგზე.

გადიოდენ დღენი და ცხოვრებაც თან და თან კალაპოტში ვარდებოდა; იწმინდებოდნენ და მტკიცდებოდნენ ეს თავდაცვითი კომიტეტებიც. ბოლოს მთავრობა იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მაზრის ადმინისტრაცია აუცილებლივ ყოფილიყო მაზრის გამგის ხელში, ეს ასეც მოხდა. ჩვენ ჩავიბარეთ ადმინისტრაცია, მაგრამ აქ წავაწყდით დიდ გაუგებრობებს: მილიციაში ბევრს 5—6 თვის ჯამაგირები მიუღებელი ჰქონდათ და საჭირო შეიქნა რადიკალური ზომების მიღება ამის გამოსასწორებლად.

მილიციის ჯამაგირებით დაკმაყოფილება ჩვენ პირველ მიზნათ დავისახეთ და გამგეობამ კიდეც შესძლო მათი გასტუმრება ხვედრი ჯამაგირებით.

ჯამაგირების გარდა საჭირო შეიქნა თვით ადმინისტრაციის სისტემის შეცვლაც. აქაც ჩვენ დადებით შედეგს მივაღწიეთ.

შეიქნა ორ საფეხურიანი სისტემა ადმინისტრაციისა: 1) სამაზრო და 2) სათემო მილიცია.

თემების შექმნამ იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ საჭიროება აღარ მოითხოვდა სარაიონო პოსტების არსებობას. ამიტომაც ჩვენ პირველ რიგში დავხურეთ პირველი სარაიონო პოსტი ქ. ზესტაფონში. მას მოჰყვა ჭიათურის პოსტის გაუქმება, შემდეგ უნდა დაიხუროს ხარაგოულის და საჩხერის პოსტებიც; მხოლოდ დროებით დავსტოვეთ ჩხარის პოსტი, რადგანაც ამას მოითხოვდა საქმის ინტერესები. ასეთმა დიდმა რეორგანიზაციამ ცხადია დიდი ხარჯებიც მოგვაშორა და თან გაამარტივა ადმინისტრატიული აპარატი.

აქვე უნდა ითქვას, რომ მილიცია ამ ჟამად სრულ გაჯანსაღების გზაზე სდგას. ამის დამამტკიცებელი გახლავთ ის, რომ დღემდე ჩვენს მაზრაში სიწყნარე არ დარღვეულა და არამც თუ ჩვენს ფარგალში, მაზრისჭარედაც კი გამოიჩინა ჩვენმა მილიციამ საკმაო ენერგია და მოქმედების უნარი; მან აღმოაჩინა ყალბი ბონების მბეჭდავი მანქანა, დააპატიმყალბი ბონების მბეჭდავი მანქანა, დააპატიმრა ცნობილნი ბორტ-მომქმედნი, რომლე-

ბიც დარიგებულნი არიან ზოგნი ადგილობრივ ციხეში და ბევრი კი გადაგზავნილია ქუთაისის ციხეებში.

საერთოდ სათემო და სამაზრო მილიცია დამაკმაყოფილებლად მოქმედებდა. რასაკვირველია, იყო პატარა შემთხვევები, პატარა დეფექტები ზოგიერთ ძველ ნაკამისარებს შორის, მაგრამ გამგეობა სასტიკ ზომებს ღებულობდა ასეთების წინააღმდეგ და დასაწყისშივე სპობდა მათ.

მოქალაქენო, თქვენ გახსოვთ, რომ წარსულ წელში გორში ბანდიტთა დიდი ჯგუფი შეიქნა, რომელიც იქიდან საჩხერეში გადმოდიოდა და სურდათ აქაც შეექმნათ გორის მაგალითები. ჩვენ ამას მაშინათვე ყურადღება მივაქციეთ და რადგანაც აქ ჩვენი მილიციის ძალა საკმარისი არ იყო, ამისათვის ამ საკითხზე სახალხო გვარდიასთან შევედით კონტაქტში.

გვარდიის საშუალებით წარსული წლის აპრილში ჩვენ განვაიარაღეთ მთელი მაზრის მცხოვრებნი. ამან კი დიდი დახმარება მოგვცა შემდეგში. მაგალითად, როდესაც ხრეითში აჯანყების მოწყობა განიზრახეს, მათ სულ 60 თოფ აღმოაჩნდათ და ამ ძალით ვერაფრის მოწყობა ვერ მოახერხეს.

ამასთანავე საჭიროა ცნობად ზემო თქმულს დაუმატოთ შემდეგი: მართალია, გვარდია ჩვენთან კონტაქტში იყო, მაგრამ საჩხერეში მოქმედების დროს მათ ავტონომიურად მოქმედების უფლება ჰქონდათ მიცემული და მათ შინაურ საქმეებში ჩვენ არ ვერეოდით.

მოგეხსენებათ, რომ რევოლიუციის დროს ბევრ სოფლებში შეიქმნენ ეგრედ წოდებული „თავდაცვის რაზმები", ჩვენ მათ განიარაღებას პირველად არ ვაპირებდით, მაგრამ ცხოვრებამ დაგვიმტკიცა, რომ სწორეთ იმ სოფლებში იყო არეულობა და უსიამოვნება, სადაც ასეთი რაზმები არსებობდენ. ამიტომ ჩვენ იგინი განვაიარაღეთ თითქმის ყველგან, გარდა უნევისა, სადაც სხვა და სხვა მოსაზრებების გამო, ხუთი კაცისგან შემდგარი შეიარაღებული რაზმი ეხლაც არსებობს.

ჩვენს მაზრაში ადგილი ჰქონდა აგრეთვე „სოფლის საბჭოებს", რომლებიც ხალხს კიდეც ატყვევებდენ, კიდეც ასამართლებდენ და კიდევაც სჯიდენ. ჩვენ მოვსპეთ ასეთი საბჭოები და მაზრაში ამ ჟამად ჩვენის ცნობით, ასეთები ეხლა აღარ უნდა არსებობდენ.

უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ჩვენს მაზრაში მაგალითად საჩხერეში, ადგილი ჰქონდა ეგრედ წოდებულ „ბალშევიკურ" გამოსვლებს, მაგრამ იგი ჩვენ მიერ თავიდანვე იქნა ჩაქრობილი.

აი ადმინისტრაციის მოქმედება წარსულში.

მომავალში ჩვენ ვფიქრობთ, ეს ძველი გზა განვაგრძოთ. ჩვენ გვყავს სათემო მილიცია, რომელიც უნდა ექვემდებარებოდეს თემის გამგეობას; მხოლოდ ზოგიერთ საქმეებში კი, მთლიანობის დასაცავად, იგი ემორჩილება მაზრის მილიციას. მაზრის მილიცია თავის თავად ექვემდებარება სამაზრო ერობის გამგეობას და მის სრულ განკარგულებაში მოქმედობს.

(შემდეგი იქნება)

თავდაცვისათვის

შიდრაპნის თემი.

კვირას, 23 მაისს, თემის გამგეობის ინიციატივით შესდგა, ერთ და იმავე დღეს სოფ. ფუთში და ს. ილემში მრავალ რიცხოვანი მიტინგი, თემის თავმჯდომარის ხელმძღვანელობით. დაესწრო დამფუძნებელი კრების წევრი ერ. კალაძე. მან ვრცლათ გააცნო მიტინგს დამფუძნებელი კრების მუშაობა, მთავრობის მიერ გადადგმული ნაბიჯები და სხვა. მრავალ შეკითხვებზე მომხსენებელმა სათანადო პასუხი გასცა, რამაც კარგი შთაბეჭდილება დასტოვა მსმენელებზე. ორივე ადგილას მიიღეს შემდეგი რეზოლიუცია.

მრავალ რიცხოვანმა მიტინგმა მოისმინა რა მოხსენება დამფუძნებელი კრების წევრის ერ. კალაძისა, იწონებს მის მიერ ნდობით აღჭურვილს დამფუძნებელი კრების მუშაობას, და მთავრობის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს, აღუთქვამს მათ ყოველ გვარ დახმარებას თავის მთავრობასთან ერთათ თავდამსხმელ მტერთან ბრძოლაში.

თავმჯდ. **ს. გაჩეჩილაძე.**

ფოთი

ფოთის ქალაქის საბჭო შეკრებილი დამოუკიდებლობის ორი წლის თავზე ფიცსა სდებს უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაიცვას საქართველოს დამოუკიდებლობა და თავისუფლება, რომელიც ბასრი იარაღია მუხანათ ,მსუნაგ, უსინდისო მტერთა გასაგმირავათ და პოლიტიკურ და კულტურულ ამშენებლობის საქმეში უტყუარი საწინდარია ერის წარმატების გზაზე სკლისა. საბჭო მხურვალე სალამს უძღვნის მთავრობას და დამფუძნებელ კრებას. სალამი ჩვენს სახელოვან ჯარსა და გვარდიას, რომელიც თავისი გულმკერდით იცავს სამშობლოს თავისუფლებას.

საბჭოს თავმჯდომარე **სამხონაძ.**

გალიდან

გალიდან მოსულია შემდეგი დეპეშა: „საქართველოს იმედს, სულის ჩამდგმელ მამაც ჯარს და გვარდიას. სამურზაყანოს მაზრის დემოკრატია შეკრებილი საქართველოს დამოუკიდებლობის ორი წლის თავზე 26 მაისის სადღესასწაულოდ გილოცავთ ბრწყინვალე დღეს ქართველი ერის აღდგენისა და აღორძინებისას. მას სწამს, რომ ჩვენი სახელოვანი ჯარი და გვარდია შესძლებენ გაუმკლავდენ მტრებს, რომელნიც კალიასავით გარს მოედვენ საქართველოს მშრომელ ხალხს და ლამობენ მის განადგურებას. მამაცო ჯარო და სახელოვანო გვარდიავ, მხნეთ და ერთგულად დაიცავით ჩვენი სამშობლო. ჩვენ კი არ მოგაკლებთ არაფერს. დაიცავით ტურფა სამშობლო და გახსოვდეთ შოთას სიტყვები: „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი".

94 მიტინგის თავმჯდომარე **ფიჩხაია.**

გენ. ზაქარიაძის პასუხი.

გალიდან მოსულ მისასალმებელ დეპეშაზე გენერ. შტაბის უფროსმა გენერ. ზაქარიაძემ შემდეგი მადლობის დეპეშა გაუგზავნა: „რესპუბლიკის თავდაცვის საბჭოს მონდობილობით გიძღვნით დიდ მადლობას სალამისა და მოლოცვისათვის. გარწმუნებთ რომ ჩვენი შეიარაღებული ძალები პირნათლად შეასრულებენ ჩვენი დიდი შოთას ანდერძს, მხოლოდ ერთი რამ უნდა მუდამ გვახსოვდეს ჩვენ ყველას: ფრონტის სიმაგრე ზურგის სიმაგრეზეა დამოკიდებული და ჩვენ გვწამს, რომ ჩვენი დემოკრატია ამას შეასრულებს ისე, როგორც ყოველთვის ასრულებდა".

დეპეშები

(საქართვ. დეპეშათა სააგენტო)

მოსკოვი, ც. კ. ა. ბ. ბ. ბიულეტენი.

სამხედრო ცნობები.

სვენციანის მიმართულებით ჩვენმა ჯარებმა სოფელთა წყება დაიკავეს. მოლოდეჩნოს მიმართულებით ჰოლოცკ-მოლოდეჩნოს რკინის გზის ხაზის ორივე მხარეზე შეუპოვარი ბრძოლებია. ბორისოვის რაიონში გადასასვლელებზე სასტიკი ბრძოლებია. ბობროვსკის რაიონში ბრძოლის შემდეგ ხელთ ვიგდეთ მტრის მჩატე ზარბაზანი. ელბინ-მოზილის მიმართულებით მტრის შემოტევა უკუ ვაგდეთ, მტერმა ბერეზინისაკენ დაიხია. კიევის მარცხენა ნაპირის რაიონში სასტიკი ბრძოლებია გამაგრებულ პოზიციათა ხელში ჩასაგდებათ. დნეპრის მარჯვენა ნაპირზე ჩვენი ნაწილები ტრიპოლიას სამხრეთით ჩვენთვის სასურველ ბრძოლას აწარმოებენ. ტარაშჩისა და უმანის რაიონებში ჩვენი წინსვლა კარგათ ვითარდება.

სახალხო კომისარიატები.

ც. ა. კ.-სა და სახალხო კომისარი საბჭოს დადგენილებით თათართა ავტონომიურ საბჭოთა რესპუბლიკას სახელმწიფო მმართველობის აპარატი აქვს. ადგილობრივ დეპუტატთა. ც. ა. კ. და სახ. კომის. საბჭოთა კონსტიტუციის თანახმად არსდება სახალხო კომისარიატები: ფოსტის, იუსტიციის, ჯანმრთელობის, მიწათ-მოქმედების, სურსათსანოვაგის, ფინანსების და სახალხო მეურნეობის შრომის განყოფილებებით. გზები და საგარეო ვაჭრობა ერთიანად რუსეთის რესპუბლიკის საბჭოთა ხელში იქნება. სამხედრო საქმეებს განაგებს თათრების სამხედრო კომისარი გაჯინსკი. შრომის ინსპექცია, მთლიანობის დაცვის მიზნით, პირდაპირ ემორჩილება რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის სათანადო სახალხო კომისარიატს. სხვა კომისარიატები ავტონომიურია. თათრების რესპუბლიკა ფინანსიურ და ტეხნიკურ საშუალებებს ღებულობს რუსეთის... საერთო საშუალებებიდან.

პროტესტი ავსტრიის მთავრობას.

საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ჩიჩერინმა მიმართა ავსტრიის მთავრობას პროტესტით იმის გამო, რომ იგი პოლონეთში სისტემატიურათ აგზავნის სამხედრო იარაღთა დიდ პატრონებს.

საბჭოთა მთავრობა ავსტრიის მთავრობის ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ ეს მოქმედებანი ბოლოს და ბოლოს აიძულებს მათ მიიღონ სათანადო ზომები, რომელნიც გავლენას მოახდენს რუსეთსა და უკრაინაში მყოფ ავსტრიელ ოფიცრების ბედზე და შეაჩერებს სამხედრო ტყვეთა გაცვლა-გამოცვლას. ამასთანავე პროტესტით მიმართა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ჩიჩერინმა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობას იმის გამო, რომ ივი ნებას აძლევს ავსტრიას, რომ მან სამხედრო მასალა გადმოიტანოს ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ტერიტორიაზე იმ დროს, როდესაც რუსეთისა და ჩეხო-სლოვაკიის მთავრობებს მიზნათ აქვთ მოლაპარაკება დაიწყონ სამხედრო ტყვეთა გაცვლა-გამოცვლის შესახებ, ჩეხო-სლოვაკიის მთავრობა ხელს უწყობს პოლონეთის თავდასხმას რუსეთსა და უკრაინაზე. ჩიჩერინს მოჰყავს პოლონეთის თეთრ-გვარდიელების მიერ უკრაინის მცხოვრებთადმი ველურად მოპყრობისა და მან ამგვარ მოქმედების გამო პროტესტით მიმართა ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის და ჩრდილო-ამერიკის შეერთებულ შტატების მთავრობებს.

სალმთო ომში მონაწილეობა.

სტამბოლიდან მოსულ დეპეშების თანახმად გამოუქვეყნებიათ მოწოდება მაჰმადიანებისადმი, რომ სამღთო ომში მონაწილეობა მიიღონ, სტამბოლში აღმოაჩინეს ოსმალ ნაციონალისტების შეთქმულება ევროპიელთა გაჟლეტის მიზნით.

შაქრის წარმოების კრიზისის გამო.

შაქრის წარმოების საყოველთაოდ ძლიერ შემცირებისა და ეროვნულ დაკმაყოფილებისათვის მისი საჭირო რაოდენობით უზრუნველყოფის გამო სასურსათო მინისტრის ამხანაგმა ტუმირმა დაიწყო შესწავლა საფრანგეთში მყოფ შაქრის მომარაგების რეკვიზიციის საკითხისა, მაგრამ იმ ოპერაციების გამო, რომელიც მან უნდა გააკეთოს, ტუმირი იძულებული შეიქნა ამ მიმართულებით მუშაობა შეეწყვიტა და ეხლა ამ საკითხის განხილვა ვაჭრობის სამინისტროს გადაეცა.

სომხეთის მანდატი.

ვილსონი იუწყება: საგარეო საქმეთა სენატის კომისიამ უარჰყო ჩემი წინადადება სომხეთის მანდატის შესახებო.

ქემალ ფაშა და საბჭოთა რუსეთი.

„ეხო დე-პარი" საბჭოთა მიერ ოსმალეთზე და აზიაზე დიპლომატიურ შეტევაში უყურებს აზიის მოულოდნელ აჯანყების სამზადისს ევროპის საწინააღმდეგოთ. საბჭოთა მთავრობასა და მუსტაფა-ქემალს შორის დამოკიდებულება რეგულიარული შეიქნა და არის მართალი ცნობები იმის შესახებ, რომ სტამბოლის მთავრობას კავშირი აქვს ადერბეიჯანის და მცირე აზიის აჯანყებულებთან. „დეგას" ცნობით საბჭოთა მთავრობის ორი დელეგატი ტრაპეზონდში მივიდა, რათა მუსტაფა ქემალის პარტიზანებთან კავშირი შეჰკრან.

სომხეთის დელეგაცია.

„ტანი" იუწყება: სომხეთის დელეგაცია მოსკოვში გაემგზავრება ბალშევიკებთან საბჭოთა რესპუბლიკის მიერ სომხეთის დამოუკიდებლობის აღიარების საფუძველზე მოსალაპარაკებლად.

ხელოვნება

ოპერა „ქრისტინე".

კვირას, 30-ს მაისს, სახალხო სახლის სცენაზე წარმოადგინეს ახალგაზრდა კომპოზიტორ რევაზ გოგნიაშვილის ორგინალური ოპერა „ქრისტინე".

ოპერას ჯერ გამოუცდელი ხელი ეტყობა. ოპერა მთლიან შთაბეჭდილებას ვერა სტოვებს. ახალგაზრდა კომპოზიტორმა არ იცის მუსიკალურ კომპოზიციის ახალი მანერის წერა. მოისუსტეტებს ოპერის ინსტრუმენტალური შემუშავება. ორკესტროვკა ვერ არის სათანადო სიმაღლეზე, მაგრამ მის ოპერაში მაინც არის საყურადღებო ადგილები, შინაარსიანი და ამასთანავე იმის მოწამე, რომ ახალგაზრდა კომპონისტს აქვს მუსიკალური ნიჭი, მომავალი, რომ ის ნაყოფიერი მუსიკოსი იქნება და უეჭველია დიდ კვალს დაატყობს თავის ნამოქმედარს.

თვით ოპერის ლიბრეტო მეტად მოისუსტებს, არ ვიცით ვინ არის ამ ლიბრეტოს ავტორი, მაგრამ იგი, რომ დახელოვნებული ლიბრეტისტი არ არის ეს აშკარად სჩანს ოპერის ყოველ ადგილში.

ჩვენ გვგონია, რომ ახალგაზრდა კომპოზიტორს თუ ვერ დაუცვამს ოპერის განვითარება, დრამატიული სვლა—ეს უშნო ლიბრეტოს ბრალიც არის. მოკვეცილი ადგილები, სუსტი—რეჩიტატივები, ოპერის პერსონაჟების უმოძრაობა ძალიან აქარწყლებს საერთო შთაბეჭდილებას.

რაც შეეხება ოპერის კოლორიტს—აქ უეჭველია მუსიკალური ნაწარმოები მოისუსტებს. საერთოდ უნდა ითქვას, რომ რ. გოგნიაშვილის „ქრისტინე" ეროვნულ მუსიკალურ ჰანგებზე არ არის აღმოცენებული, თუ მხედველობაში არ მივიღებთ უკანასკნელ სურათს. კომპოზიტორის შემოქმედება ნაყოფია უფრო მისი ფანტაზიის.

კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს მეორე სურათის პატარა პრელიუდია, ქრისტინეს არია აკვანთან და დამახასიათებელია უკანასკნელი სცენა.

შესრულების მხრივ ოპერა გვარიანად შეასრულეს.

მთავარ პარტიას, ქრისტინეს მღეროდა ქ-ნი კალანდაძე-აგასოვისა, ვოკალური მხრით პარტია კარგად შეასრულა. სცენიურ განსახიერებაში მოისუსტებდა, მაგრამ ეს იქნება იმის ბრალიც არის, რომ დრამატიულად ავტორს ქრისტინეს სულის კვეთება ვერ აქვს კარგად გადმოცემული.

იასონს მღეროდა ბ-ნი ზალიპსკი, ჩვეულებრივად კარგად მღეროდა, მაგრამ ის ვერ განიცდიდა იასონის „გიჟურ ლტოლვის", აკლ და ტემპერამენტი.

კარგი იყო ჭუმბურიძეც პატარა დათიას პარტიაში.

კარგი ხმა აქვს ქ-ნ ოქროპირიძესაც (სონა).

დანარჩენ მომღერლებსაც არა უჭირდათ რა. მოისუსტებდა ჭმხოლოდ ორკესტრი. სასურველია ეს ოპერა დიდ სცენაზე დაიდგას, რომ ფართე საზოგადოებამ ნახოს იგი.

—

დღეს საღამოს, სახ. სახლ. არსებულ ქარ. წარმ. მმართველ წრის მიერ წარმოდგენილი იქნება „სიძე-სიმამრი" და „ჭკუისა მჭირს" დასაწყისი საღამოს რვა საათზე. ადგილების ფასი სახალხოა.

ახალი ამბები

✦ სიღნაღიდან შემდეგი ლეპეშა მივიღეთ: საშინელმა და მოულოდნელმა სეტყვა-ნიაღვარმა მთლად წალეკა ქიზიყის სოფლების: კარდანახის, ანაგის, ვაქირის, მარნარის, საქობოს, ასანურის, ხირსის, ქვემო მაჩხაანის, დედოფლის წყაროს და ბოდბის ხევის ვენახები და მინდვრები არის ადამიანთა და საქონელთა მსხვერპლი. ზარალი რამოდენიმე მილიონისაა. სხვა სოფლებიდან ცნობა არ მიგვიღია. ვიღებთ ზომებს. დაწვრილებით გაუწყებთ გამორკვევისამებრ.

✦ დამფუძნებელ კრების წევრმა ერ. კალაძემ შეიტანა იურიდიულ კომისიაში განცხადება, რომლითაც წინადადებას იძლევა ითავოს იურიდიულმა კომისიამ გამარტივება სამედიატორო სასამართლოს წესისა, რომ სამედიატორო ხელშეკრულების შესრულების უფლება სოფლად მიენიჭოს თემებს, რადგან ნატარიუსთან საქმის წარმოება თხოულობს ბევრ დროს.

✦ კვირას, 30 მაისს, დიდუბის პანთეონში დაკრძალეს პოეტი ნოე ჩხიკვაძე. სიტყვები წარმოსთქვეს: ქვაშვეთის ეკლესიის გალავანში ქართულ მწერელთა სახელით აკაკი პაპავამ, დიდუბეში: რედაქცია „ერთობის" სახელით ლეო ნათაძემ, ჟურნალ „ცისარტყელის" სახელით გ. ქუჩიშვილმა, ვ. ღვანეკითელმა და მუშათა წარმომადგენელმა.

✦ დამფუძნებელ კრების საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დაამთავრა სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენა 1919 და 1920 წ. წ. ხარჯთ-აღრიცხვა უკვე გადაეცა დამფუძნებელ კრების პრეზიდიუმს პლენუმისათვის მოსახსენებლად.

✦ 30 მაისს საღ. 5 ს. მოსკოვიდან ტფილისში დაბრუნდა გრ. ურატაძე.

✦ ტფილისის პრეს-ბიურომ სარწმუნო წყაროებიდან ვაიგო, რომ განჯაში რუსის ბოლშევიკებსა და ადერბეიჯანელ თათრების შორის შეიარაღებული ბრძოლაა. მდგომარეობა გართულებულია.

✦ სომხეთის მისიამ საქართველოში შემდეგი დეპეშა მიიღო ერევნიდან: 3 ივნისს სამხედრო სასამართლოში სახალხოდ გაირჩევა ერევანში მყოფ აზერბეიჯანის მისიის სამი დარაჯის საქმე, რომელთაც ბრალდებათ, რომ მათ მიულიათ აზერბეიჯანის წარმომადგენელ თემურ ბეგ მაკინსკისგან 4.997.750 მანეთი აზერბეიჯანის ბონებით, 117.050 მან. ამიერ-კავკასიის და 1100 მან. ჩეკები და ავტომობილით ზანგიბასარების მეამბოხეებთან ერთად მიჰქონებიათ სომხეთის წინააღმდეგ აჯანყებულებისთვის, მაგრამ ეჩმიაძინის სამაზრო მილიციას დაუჭერია ისინი.

✦ რედაქციამ მიიღო ჟურნალი „მხედარი" და „ახალი ნაკადი". ორივე კარგი შინაარსითაა შედგენილი.

სენატი

საქართველოს სენატის სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტის საადმინისტრაციო განყოფილების საკრებულოს სხდომაზე 1920 წლის ივნისის 23-ს დანიშნულია განსახილველად შემდეგი საქმეები:

(სხდომის გახსნა დილის 10 საათზე).

1. საჩივარი ხონის ქალ. გამგეობისა ქუთ. ოლქის სასამართლოს საადმინ. განყოფ. 1919 წლ. 2 ივნისის გადაწყვეტილებაზე, რომლითაც გაუქმებულია ქალ. ხონის გამგ. 1919 წლ. 24 იანვ. დადგენილება ჩხენკელის სახლის რეკვიზიციის შესახებ.

2. საჩივარი დავით ენგელისა სოხუმის ოლქის სასამ. საადმინ. განყოფ. 1919 წლ. 8/15 დეკემბრის გადაწყვეტილებაზე, რომლითაც უყურადღებოდ დატოვებულია ენგელის საჩივარი—გუმისტის ერობის გამგ. დადგენილებაზე—მიწის მფლობელობის გადაცემის შესახებ—მიხელსონისთვის.

3. საჩივარი ქრისტეფორე ბეშკენაძისა მიწათ-მოქმედების სამინისტროს განკარგულებაზე გაშენებულ სახაზინო სამოსახლო ადგილის შესყიდვის შესახებ ქ. ქუთაისში.

4. საჩივარი შორაპნის სამაზრო ერობის გამგეობისა ქუთ. ოლქის სასამართლოს სამინ. განყოფ. 1919 წლის 6/13 ავგისტოს გადაწყვეტილებაზე გაფრინდაშვილების ტ სხვების დავა მიწის შესახებ სერგო დუდუჩავასთან.

5. საჩივარი მიხეილ სულაძის, შალიკო განუკრავასი და სხვების მიწათ-მოქმედების სამინისტროს განაკარგულებაზე მათ გაშენებულ სახაზინო სამოსახლო ადგილის შესყიდვის შესახებ ქ. ქუთაისში.

ბიულეტენი
საქარ. ფიზ. ობსერვატორიის
ტფილისი, 30 მაისი 1920 წ.

ნაშუად. 1 **საათ.** ჰაერის წოლა მმ.: 722.3; ჰაერის ტემპერატ.: 17.5; შეფარდებ. სინოტ. %: 78; მოღრუბლ.: 10; ქარი; N 4; დედამიწის ზენაპირ. ტემპერ.—მოშიშვლებ.: 26.7; ბუნებრივ.: 24.3.

საღამ. 9 **საათ.**: ჰაერის წოლა მმ.: 724.1; ჰაერის ტემპერ.: 15.3; შეფარდებ. სინოტ. %: 71; მოღრუბლ.: 10; ქარი: NW 5; დედამიწის ზენაპირ. ტემპერ. მოშიშვლებ.: 14.0; —ბუნებრივ.: 15.3 ჰაერის საშუალო ტემპერატ. 30 მაისი: 15.9; ნორმალი: 19.2; მაქსიმალი: 19.3; მინიმალი: 13.6.

დილ. 7 **საათ.** 31 **მაისი.** ჰაერის წოლა მმ.: 727.3; ჰაერის ტემპერ. 13.2; შეფარდებ. სინოტივ. %: 85; მოღრუბლ.: 10; ქარი: N 5; დედა მიწის ზენაპირ. ტემპერ.—მოშიშვლებ.: 15.1; ბუნებრივ.: 15.9; ატმოსფერის ნალექი.: მმ.: 5.7, შენიშვნა:

წვიმა დღით. საღამ., ღამ.

დილ. 7 საათ., 30 მაისი 1920 წ.

დაკვირვების ადგილი	ჰაერის ტემპერ.	მინიმალი ტემპერ.	ნალექი მმ.	ქარი	ძლიერი ღელვა.
ტფილ. [1]	14.9	14	18	0	—
ბორჯომი	—	—	—	—	—
ფოთი [2]	18.6	16	8	SSW 5	1
სოხუმი [3]	17.1	15	11	0	0
გაგრა [4]	—	—	10	—	0

შენიშვნა: [1]) ქარიშხალი დილით, წვიმა დღით საღამ., ღამ., [2]) წვიმა დილით; [3]) წვიმა ღამ. [4]) წვიმა საღამ.

განცხადებანი

დაიკარგა სამხედრო ბეგრის მოხდის ვალის გადადების მოწმობა, რუბენ გალუსტის ძე გასპაროვის სახელზე მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1002 3—3

დაიკარგა მოწმობა № 280 ნ. ი. რაგანტის სახელზე, მიღებული ტფილისის პოლიტექნიკუმიდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1242 3—1

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა № 7111 დავით ბახტაძის სახელზე, მიღებული ტფ. მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან. გაუქმებულათ ჩაითვილოს. 1245 3—1

დაიკარგა საჭირო საბუთი დარკვეთის უსახელო საზოგადოების რწმუნებულის იურისკონსულტის სერგი ივანეს ძე გეიდემანის ხელ-მოწერილობის შესახებ, რომ მე უფლება მეძლევა ამ საზოგადოების მიერ ვისარგებლო მათი საცხოვრებელი ბინით, სადაც ეხლაც ვცხოვრობ 1934 წლამდე.-თუ ვისმე ხელში გადავა საზოგადოების საიჯარო მამულები და ბინები, იმ შემთხვევაშიაც მათ მიერ მოცემული საბუთის ძალით ჩემი უფლება ბინით სარგებლობისა რჩება ხელ-უხლებელ უმორჩილესად ვსთხოვ აღნიშნულ საბუთის მპოვნელმა მამაწოდოს შემდეგი მისამართით: ქ. ჭიათურა ვიაჩესლავ კონსტანტინეს ძე ჩხეიძეს. წინაღმდეგ შემთხვევაში გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1202 3—1

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა დიმიტრი მახვილაძის სახელზე, მიღებული ტფილ. სამხედრო აღრიცხვის უფროსის სამართველოდან. გაუქმებულად ჩაითვლება. 1160 3—3

დაიკარგა 6 კლასის ატესტატი, მიცემული ტფილისის რეალურ სასწავლებლიდან და იმავე სასწავლებლის 7 კლასის მოწმობა გრიგოლ არისტოკელის ძე ზარგარიანცის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1466 3—3

დაიკარგა კვიტანცია ორი ცხენზე ბაჟის გადახდის შესახებ აგაფია ივანეს ასული შკინინის სახელზე, მიღებული ქალაქის გამგეობის საზედამხედველოდან 1920 წ. 20 აპრილს გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1055 3—3

დაიკარგა პასპორტი № 1 ვასილი პეტრეს ძე ქორქაშვილის სახელზე, მიღებული სოხუმის პოლიციის სამმართველოდან გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1169 3—3

დაიკარგა პაკროვის ბანდში. № 14 მდებარე ნატალია ავაკიმის ასულის მოსესოვას სახლის დავთარი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1052 3—3

დაიკარგა მიხეილ კაპანაძის ორი ცხენის უვარგისათ ცნობის მოწმობა, მიღებული სამობილიზაციო კომისიისაგან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1053 3—3

დაიკარგა მეეტლეობის მოწმობა ნიკოლოზ ივანეს ძე შკინინის სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის გამგეობიდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1054 3—3

დაიკარგა სოლოლაკში № 2 კონდახჩევის სახლის დავთარი. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1134 3—3

დაიკარგა ზედნადების დუბლიკატი № 10,8945 გრიგოლ ჭანტურიას სახელზე ბაქოდან სად. სამტრედიაში თევზის გამოგზავნის 1920 წლ. მარტის 11-ს. 1225 3—2

დაიკარგა პასპორტი № 2415. მიღებული სამურძაყანოს მაზრის მილიციის უფროსისგან ესტატე ნეტუს ძე შონიას სახელზე, 6 თვის ვადით. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1219 3—2

ვექილობა, მიცემული გრიგოლ ილიას ძე მალალოვზე ფერდინანდ პეტრეს ძე ტახტაჯიანის მიერ, და შემოწმებული გარეშე საქმეთა სიმინისტროს კანცელიარიის ვიცე-დირექტორის მიერ 1919 წ. აპრილის 28-ს, № 3041, გაუქმებულია. 1168 3—2

მომარაგების კომიტეტის ყარაულმა ფილიპე პოლშინმა დაჰკარგა იარაღის ტარების მოწმობა, მიღებული შინ. საქ. სამინ. და კომიტეტის მოწმობა, რომ მსახურებს № 1849. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1182 3—2

დაიკარგა მდაბიო მოქალაქეთა სამმართველოს მიერ გაცემული 22 ენკენისთვეს 1910 წ. № 4331 პასპორტი უისა ყაზარის ძე არუთინიანის სახელზე, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1074 3—3

მეორე კურსისტ. ელენე ლავრენტის ასული ჩიმაკაძე აცხადებს, რომ მან დაკარგა სახელმწ. უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის მატრიკული. გაუქმებულად ჩაითვალოს. 1170 3—3

დაიკარგა ტფ. სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მიღებული მატრიკული ნინო ვასილის ასული ხახუტაშვილის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1184 3—3

დაიკარგა გრაფის ქუჩაზე № 8 მდებარე მიხეილ მონასელიძის დავთარი. გაუქმებულათ ჩაითვალოს: 1238 3—3

დაიკარგა ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კანც. გაცემული პირადობის მოწმობა ნიკოლოზ მიხეილის ძე ხომიზურიშვილის სახელზე გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1189 3—1

დაიკარგა პასპორტი № 199 ვასილი ვასილის ძე პაპოვის სახელზე, მიღებული ქალ. პაკროვში (ვლადიმერის გუბ.) გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1230 3—1

დაიკარგა პასპორტი, № 1820 მიღებული კავკავის კონსულიდან საქართველოში 1920 წ. თებერვლის 28-ს ნესტორ გრიგოლის ძე გამბაროვის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1226 3—1

დაიკარგა პასპორტი № 391 ანტონინა გიორგის ასული რომანოვიჩის სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1209 3—1

დაიკარგა მოწმობა № 51 სავაჭრო სახლის „ძმები წოვიანოვი“ ოთხასი მანეთის ანასტასია იაგონსონის სახელზე გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1199 1—1

დაიკარგა უვადო პასპორტი გაცემული ტფილისის მილიციის სამმართველოდან 28 მაისს 1918 წ. 1834 ნომრით, პოლინა ავგუსტის ასულის ჩერნოვას სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1187 3—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 2450, მიღებული კავკავის შტაბიდან მარიამ ფროლოვას სახელზე, 4 იანვარს, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1205 3—1

დაიკარგა სამხედრო ბეგრის განთავისუფლების მოწმობა № 2416 ბიქტორ ფილიპეს ძე გოგეშვილის სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1201 3—1

დაიკარგა პასპორტი სპირიდონ გიორგის ძე ჯაბანაშვილის სახელზე, მიღებული ყაზბეგის საზოგადოებიდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1203 3—4

დაიკარგა ატესტატი № 993 ტფილისის ვაჟთა გიმნაზიის მიერ 31|V 1916 წ. გაცემული ალექსან. გრიოლის ძე შაიშმელაშვილის სახელზე, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1197 3—1

დაიკარგა მე-9 უბ. კომისარიატის კანცელარიიდან გაცემული ბათომში წასვლის ნებართვა ნიკოლოზ გარსევანის ძე სხირტლაძის სახელზე, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1198 3—1

დაიკარგა სამხედრო ბეგრის უფროსის მიერ გაცემული 3|II № 493 თავისუფლების მოწმობა და მეტრიკული მოწმობა გრიგოლ თოროზის ძე თოროსიანცის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1200 3—1

დაიკარგა საბინაო დავთარი პრიბილოვის ქუჩაზე (ნავთლუღში) № 3 მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის ეფენდიევს. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1240 3—1

ნესტორ ედიშერის ძე ვაშაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა შემდეგი საბუთები: 1) პიროვნების მოწმობა მიღებული კორბოულის სათემოდან, 2) სახალხო გვარდიის ცხენოსან დივიზიიდან მიღებული ნამსახურობის ნუსხა, და 3) 4—2 და 3 ხარსსხის გიორგის ჯვრის მოწმობა, მიღებული 1915 წ. აღნიშნული საბუთები გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1195 3—1

დაიკარგა ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცელ. მიერ გაცემული პიროვნების მოწმობა პეტრე იასონის ძე თავზარაშვილის სახელზე გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1196 3—1

ტფილისის მაზრის მილიციის უფროსი აცხადებს, რომ ეძებს პატრონს ცხენისა, ფერი წითელი, უნიშნო, შუატანისა. პატრონი თუ აღმოჩნდა ევალება გამოცხადდეს მილიციის სამმართველოში სათანადო საბუთებით. 1254 1—1

დაიკარგა უვადო პასპორტი ისაკ გიორგის ძე მიქელაძის სახელზე, ვინტოვკის ტარების ნებართვა, მიღებული სახალხო გვარდიის 1 რაიონის შტაბიდან და მეტრიკული ამონაწერი ნიკოლოზ მიქელაძის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1124 3—3

დაიკარგა საბინაო დავთარი მადათოვის კუნძ. № 10, მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის ზაქარია ი. ტურძილაძეს. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1190 3—1

დაიკარგა პასპორტი № 516 გაცემული ლოჟგალოვსკის ოლქის სამმართველოდან ივანე ვასილის ძე დავიდოვის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1193 3—1

დაიკარგა ტფილისის მილიციის სამმართველოს მიერ გაცემული პასპორტი აბრამ იაკობის ძე შალახოვის სახელზე, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1194 3—1

---

5 მაისის 1920 წ. მე-1044 ნომრით ვაჭრობა-მრეწველობის დეპარტამენტმა ნება დართო გიორგი ვასილის ძე კოჩიევს მის მიერ წარმოდგენილ საქონლის ნიშნით განსაკუთრებულ სარგებლობისა ათი წლის ვადით. 1180 3—1

დაიკარგა პასპორტი, მიღებული რუსთა ნაციონალურ საბჭოდან და მეტრიკული ამონაწერი ვარვარე კონსტანტინეს ასული ზორჩენკოს სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1171 3—1

სენაკის სამაზრო ერობის გამგეობა ამით აცხადებს, რომ დაკარგულია პირადობის მოწმობა გიორგი ივანეს ძე წოწორიასი, მიცემული მარტვილის თემის საერობო გამგეობის მიერ 12 თებერვლიდან 1920 წ. № 86 მოწმობა გაუქმებულად ჩაითვალოს. 531 1—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 1124 დასავლეთ სომეხთა კავშირის აღმასრულებელ კომიტეტიდან მიღებული 1920 წლ. მარტის 17-ს ხაჩატურ მიკირტიჩის ძე პოღოსოვის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1216 3—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 1406, მიღებული ალექსანდროპოლის ქალ. გამგეობიდან; სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა № 4603, მიღებული ყარსის საოლქო ყრილობიდან მკრტიჩ ყაზარის ძე მომჯიანცის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1236 3—1

დაკარგულია უვადო პასპორტი № 5224 მიცემული ტფილ. პოლიცეისტ. სამართველოდან 1907 წ. მაისის 20-ს ვლადისლავ ივანეს ძე დევიცის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1135 3—3

დაკარგულია მოწმობა № 151 მიცემული სარეგისტრაციო კომისიის მიერ სურენ ესაიანცზე „დიატო“-ს სისტემის ავტომობილის, მატორის № 302. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1130 3—3

დაიკარგა უვადო პასპორტი, მიცემული ტფილ. ყოფილ პოლიცმეისტრის სამმართველოდან გიგო ნიკოლოზის ძე ტომარაძის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1153 3-3

პახეთის რკინის გზის საზ. გამგეობა

თანახმად წესდების § 39 იწვევს ბ. ბ. აქციონერებს მორიგ საზოგადო კრებაზე დასასწრებლად შემდეგი საგნების განსახილველათ: 1. გამგეობის მოხსენება საზოგადოების საქმეების შესახებ და 2. 1919 წ. ანგარიშის დამტკიცება. 598 3—2

სამურზაყანოს მაზრის მეთამბაქო-პლანტატორების კოოპერატიულ ამხანაგობის გამგეობა იწვევს გამგეობისათვის

გამოცდილ გუჯვალტერს

ჯამაგირი შეთანხმებით. მისამართი: გალი, აფხაზეთი. მეთამბაქო-პლანტატორების კოოპერატივი,—ამხანაგობის გამგეობას. 602 1—1

1920 წ. 13 ივნისს დანიშნულია მომხმარებელ საზოგადოების

ტფილისის კოოპერატივის

წევრთა წლიური საზოგადო კრება. განსახილველია შემდეგი საკითხები: 1. 1919 წ. ანგარიში. 2. 1920 წ. ხარჯთ-აღრიცხვის პროექტი. 3. პაის გადიდება. 4. გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრების და მათი კანდიდატების არჩევა. 5. მიმდინარე საკითხები. 1280 1—1